



ქვეყნის კეთილდღეობაზე გრუნვა ბავშვის
აღრულ ასაკში ინვესტიციით ინვესტა



საქართველოს
პარლამენტი



ინვესტიცია საქართველოს მომავალში

ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ეროვნული გეგმა

დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა 2013 – 2015წწ.

1. ღირებულებები და პრინციპები

ა) ჩვენ, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, გაეროს ბავშვთა ფონდთან (იუნისეფთან) თანამშრომლობით, შევიკრიბეთ თბილისში, საქართველოში 2013 წლის 11 ივნისს, რათა დავადასტუროთ ჩვენი ბავშვების დაცვის, სიცოცხლისა და განვითარებისათვის ფართო და მტკიცე ძალისხმევის ვალდებულება.

ბ) ჩვენ ვხელმძღვანელობთ ათასწლეულის განვითარების მიზნებით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, ევროკავშირის ბავშვთა ადრეული განათლებისა და ზრუნვის პოლიტიკით, 2007 – 2009 ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმით, 2012 წლის რეგიონალური მოწოდებით მოქმედებისაკენ 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ინსტიტუციური ზრუნვის გამოყენების დასრულების შესახებ.

გ) ჩვენ ვაღიარებთ, რომ ადამიანის განვითარება უმნიშვნელოვანესია განვითარების ნებისმიერი პროგრამისთვის, მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის, ქვეყანაში უთანასწორობის მაღალი დონის შემცირებისათვის და უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების შემობრუნებისათვის. ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ნაკლებობა ქვეყანას განვითარების ნეგატიურ ტრანექტორიაზე აღმოჩენის რისკს უქმნის.

2. რატომ ადრეული ასაკი?

ა) ჩვენ ვაღიარებთ, რომ ნეიროფსიქოლოგიასა და ბავშვთა განვითარების სფეროში გლობალურად ჩატარებული უამრავი კვლევის თანახმად, ბავშვთა ადრეული ასაკი, ჩასახვიდან დაწყებული, წარმოადგენს საფუძველს მთელი სიცოცხლის მანძილზე ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და პროდუქტიულობისათვის.

ბ) გვჯერა, რომ ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლესა და განვითარებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგია ერის ადამიანური კაპიტალის გაზრდის, სიღარიბის შემცირებისა და უთანასწორობის აღკვეთისათვის. ის, თუ როგორ ვეპყრობით მცირეწლოვან ბავშვებს, განაპირობებს არა მხოლოდ მათ ცხოვრებას, არამედ ჩვენი საზოგადოების მომავალსაც.

ა) ვაღიარებთ, რომ სოციალური და შემეცნებითი უნარების, ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების, ისევე როგორც სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება დამოკიდებულია ბავშვის გულისხმიერ, უსაფრთხო და მასტიმულირებელ გარემოში აღზრდაზე.

ბ) ვაღიარებთ, რომ სიღარიბის, სოციალური დაუცველობის, კვების დეფიციტის, ძალადობის, უგულვებელყოფის, სტიმულირების ნაკლებობისა და სხვა უარყოფითი გამოცდილების გავლენა ადრეულ ასაკში ხშირად შეუქცევადია.

3. ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლის და განვითარების ეროვნული გეგმა

ა) იმისათვის, რომ ზემოთ გაზიარებული ღირებულებები და პრინციპები ქმედებად გარდაიქმნან, განვსაზღვრეთ მთავარი მიზნები, რომელთაც ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ბ) ვაღიარებთ, რომ არსებობს რიგი დაბალხარჯიანი და მაღალეფექტიანი სტრატეგიები, რომელთა განხორციელებაც საქართველოს დაუყოვნებლივ შეუძლია. ჩვენ ვზრდით ძალისხმევას, რომ 2015 წლისათვის მივაღწიოთ შემდეგს:

1. მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ე.ი. ჩარიცხვის არსებული 46% წმინდა მაჩვენებლის (30% ღარიბ ბავშვებში) გაზრდა 100%-მდე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, საოპერაციო ხარჯების დაფარვითა და ხარისხის მინიმალური სტანდარტების დაცვით.
2. გაეროს ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზნის მიღწევა, ე.ი. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება 20,5-დან 16-მდე 1000 ცოცხლად შობილზე კვების დეფიციტის შემცირებისა და პერინატალური ზრუნვის გაუმჯობესების გზით.
3. 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის განახევრების მიზნით, სექტორთაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც დაადგენს 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ბავშვთა საყოველთაო შეღავათის ტიპს და განხორციელების მექანიზმს;
4. 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის ინსტიტუციური ზრუნვის გამოყენების დასრულება ადრეული ჩარევის მომსახურების გაფართოებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის შინ მოვლის მომსახურების დანერგვით.

გ) საშუალოვადიან პერსპექტივაში, ჩვენ ვდებთ პირობას უზრუნველყოფით ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების დაფინანსებული, ინკლუზიური და ინტეგრირებული პოლიტიკისა და პროგრამების არსებობა 0-6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველთათვის. უზრუნველყოფით, რომ ეროვნული და რეგიონალური მონაცემები რეგულარულად იქნეს მოგროვებული ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ტენდენციებისა და უთანასწორობების მონიტორინგის მიზნით და შეიქმნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის ბაზა ინფორმირებული ბიუჯეტირებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის.

დ) ამდენად, ვადასტურებთ აღნიშნული მიზნების მტკიცე მხარდაჭერას და ჩვენ განზრახვას, რომ მივაღწიოთ მათ. ამიტომ, ჩვენი უფლებამოსილებისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენებით, ვდებთ პირობას, რომ პრიორიტეტს მივანიჭებთ ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლესა და განვითარებას საქართველოს განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, შევქმნით სახელმწიფო კომიტეტს ჩვენი ძალისხმევის კოორდინაციისა და მონიტორინგისათვის, მოვიზიდავთ არსებულ და მოვიძიებთ ახალ რესურსებს აღნიშნული გეგმის შესასრულებლად.

*კონფერენცია ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების შესახებ
11 ივნისი 2013წ., თბილისი, საქართველო*